საიდ. №72302/03

IR 1157583

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №124-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, მ.. ჭიჭინაძე, ლ. ახობაძის მდივნობით განიხილა კომპანიის ,,ოტკრიტოე აკციონერნოე ობშჩესტვო ,,ვიმ-ბილ-დან" (OTKRYTOE AKTSIONERNOE OBSCHESTVO "WIMM-BILL-DANN") (მის.: დ.108, დმიტროვსკოე შოსე, RU-127591 მოსკოვი, რუსეთი., d.108, Dmitrovskoe shosse, RU-127591 Moscow) საიდ. N72302/03 რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 აპრილის №776/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვს - ,,Кубанская Бурёнка" (N72302/03 IR 1157583) დაცვის

მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5, 29-ე, 30-ე და 32-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 აპრილის №776/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი ,,Кубанская Бурёнка“ დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის "ООО "LJUSTDORF" (მისამართი: 22700 Vinnitskaya oblast, g. Ilintsy, ul. Kotsjubinskogo 1,UA), სახელზე მე-5, 29-ე, 30-ე და 32-ე კლასების მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული ნიშნისა „БУРЁНКА“ (რეგ. №16228, 28.09.2005წ.). ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია კირილიცაზე და აქვთ მსგავსი ჟღერადობა. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და სიტყვიერ ნაწილთან "Кубанская" ერთად შეიცავს ასევე გამოსახულებით ელემენტს, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ ჩნდება სასაქონლო ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. შესაბამისად, ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

აპელანტი კომპანია ,,ოტკრიტოე აკციონერნოე ობშჩესტვო ,,ვიმ-ბილ-დან“,,ვიმ-ბილ-დან“ (OTKRYTOE AKTSIONERNOE OBSCHESTVO "WIMM-BILL-DANN") არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას.

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსი შემდეგ გარემოებათა გამო: ექსპერტმა ერთმანეთს დაუპირისპირა

კომბინირებული სასაქონლო ნიშანი ,,Кубанская Бурёнка“ და სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი - „БУРЁНКА“ მართალია, განცხადებული ნიშანი შეიცავს დაპირისპირებულ ნიშანს, მაგრამ ნიშანში შემავალი დანარჩენი ელემენტებიდან გამომდინარე, ნამდვილად არსებობს განსხვავება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის, რაც მომხმარებელს აძლევს ნიშნების განსხვავების საშუალებას. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სტანდარტულ სიტყვიერ ჩანაწერს, შესრულებულს კირილიცის ანბანით, მაშინ როდესაც განცხადებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და სიტყვიერი ელემენტების გარდა, შეიცავს გამოსახულებით ელემენტებს. აპელანტის განცხადებით, ზოგადად, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში სიტყვა „БУРЁНКА“ (ბურიონკა), დაკავშირუბელია ძროხასთან, წარმოადგენს მოფერებით სიტყვას და ძროხის რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები ხშირად იყენებენ მას მათ სასაქონლო ნიშნებში. შესაბამისად, ვინაიდან აღნიშნული სიტყვა, ცალკე აღებული, არ შეიცავს განსაკუთრებულ განმასხვავებელ ელემენტებს, კომპანიები ავსებენ მას ამ განმასხსვავებელი ნიშნებით, რასაც ადგილი აქვს განცხადებულ სასაქონლო ნიშანშიც. კერძოდ, განცხადებული სიმბოლო ფერადია (თეთრი, შავი, ნაცრისფერი, ღია ყავისფერი, ყავისფერი, წითელი, ცისფერი, მუქი ლურჯი, ღია ყვითელი, ყვითელი, მუქი მწვანე, მწვანე და ღია მწვანე), რაც უკვე სძენს მას განსხვავებას. სასაქონლო ნიშანში, ძირითად სიტყვიერი ელემენტი არის „Кубанская Бурёнка“ (,,კუბანსკაია ბურიონკა“), რომელიც შესრულებულია წითელ ფერში, სტილიზებული ასოებით. სიტყვიერ ელემენტთან ერთად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს ასევე გამოსახულებით ელემენტს, კერძოდ, კისერზე ზარშებმული ძროხის გამოსახულებას, მზის, ღრუბლების და მინდვრების პეიზაჟის ფონზე. ყველა აღნიშნული ელემენტი განასხვავებს განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, სხვა, უკვე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისგან, მაგალითად „Алтайская Бурёнка“ , «Уральская Бурёнка » , «Весёлая Бурёнка», «Добрая Бурёнка », «Парижская Бурёнка». აღნიშნული ნიშნებით ნიშანდებული პროდუქცია თანაარსებობს

საქართველოს მეზობელი ქვეყნების სამომხმარებლო ბაზარზე და აპელანტის აზრით, ამ მხრივ, არც საქართველოს ბაზარი წარმოადგენს გამონაკლისს, რაც აპელანტის აზრით, დასტურია იმისა, რომ მომხმარებელს არ ერევა ნიშნები და არ შედის შეცდომაში მწარმოებლის მიმართ.

აპელანტი ასევე განმარტავს, რომ კომპანია ,,ოტკრიტოე აციონერნოე ობშჩესტვო ,,ვიმ-ბილ- დან“, თავისი პროდუქციით, როგორიცაა მაგ. „Агуща“, ,,Чудо“, ,,J7“, ,,ИМУНЕЛЕ“ და სხვა, დიდი ხანია არსებობს ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე და მომხმარებელიც კარგად არჩევს მის პროდუქციას სხვა მწარმოებლების პროდუქციისგან.

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები რეგისტრირებულია სხვადასხვა ქვეყანაში და თანაარსებობენ სამომხმარებლო ბაზარზე, მაგ. რუსეთში, უკრაინაში, ბელარუსში, სომხეთში და სხვა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი თვლის, რომ შესაძლებელია დაცული და განცხადებული სასაქონლო ნიშნების თანაარსებობა საქართველოშიც განცხადებული საქონლის მიმარ და ნაკლებად შესაძლებელია მოხდეს განცხადებული ნიშნის აღრევა რეგისტრირებულ ნიშანთან.

სააპელაციო საჩივრის ზეპირ მოსმენაზე, აპელანტის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა და მოითხოვა სიტყვიერი ელემენტის ,,Бурёнка“ განცხადეულ სასაქონლო ნიშანში დაუცველი ნაწილის სახით შეტანა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ” სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 აპრილის №776/03 ბრძანება და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს - ,,Кубанская Бурёнка“ (N72302/03 IR 1157583) მიენიჭოს დაცვა საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5, 29-ე, 30-ე და 32-ე კლასები).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №124-03/14) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად: ,,სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;“.

კოლეგია მიიჩნევს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „БУРЁНКА“ და ,,Кубанская Бурёнка“ ერთმანეთის მსგავსია. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და სიტყვიერი ელემენტის - ,,Кубанская Бурёнка“ გარდა, შეიცავს ასევე გამოსახულებით ელემენტებს (ღრუბლების, მზისა და მინდვრების ფონზე გამოხატულია კისერზე ზარშებმული ძროხის გრაფიკული ნახატი), ნიშანში ძირითადი დატვირთვა მოდის მის სიტყვიერ ელემენტზე - ,,Кубанская Бурёнка“, რომელიც მთლიანად მოიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს „БУРЁНКА“. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვიერ ელემენტს ,,Кубанская“, რომელიც მიუთითებს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე. კერძოდ, ,,Кубань“ არის სოფლის, დაბის, ასევე მდინარის დასახელება რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ოლქებში, ასევე დასახლება უკრაინაში და შესაბამისად, არ წარმოადგენს დაცვისუნარიან ელემენტს. შესაბამისად, საერთო შთაბეჭდილება, რომელიც დაპირისპირებულმა ნიშნებმა შესაძლებელია მოახდინონ მომხმარებელზე, არის აღრევამდე მსგავსი.

გარდა ამისა, კოლეგია თვლის, რომ მსგავსია ნიშნების საქონლის ჩამონათვალი. ნიშნის ,,Кубанская Бурёнка“ რეგისტრაცია მოთხოვნილია მე-5, 29-ე, 30-ე და 32-ე კლასების ჩამონათვლისათვის მაშინ როდესაც დაპირისპირებული

ნიშანი ,,Бурёнка“ რეგისტრირებულია, ასევე მე-5, 29-ე, 30-ე, 32-ე და 35-ე კლასების მსგავსი საქონლის ჩამონათვლისათვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიჩნევს, რომ აღრევამდე მსგავსი სასაქონლო ნიშნების ერთ სასაქონლო ბაზარზე თანაარსებობის პირობებში მოხდება მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

კოლეგია, ასევე მიიჩნევს, რომ არ არსებობს სიტყვიერი ელემენტის ,,Бурёнка“, განცხადებულ სასაქონლო ნიშანში დაუცველი ნაწილის სახით ჩართვის თაობაზე, აპელანტის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. ვინაიდან, განცხადებულ სასაქონლო ნიშანში, ნებისმიერი ფორმით ჩართული აღნიშნული სიტყვიერი ელემენტის პირობებში, იარსებებს აღრევისა და შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს ,,Кубанская Бурёнка უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,ოტკრიტოე აკციონერნოე ობშჩესტვო ,,ვიმ-ბილ-დან“ (OTKRYTOE AKTSIONERNOE OBSCHESTVO "WIMM-BILL-DANN") სააპელაციო საჩივარი (საიდ. №124-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ” სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 აპრილის №776/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ქ. კილაძე

დ. ჭიჭინაძე